საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №05/17

2022 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უწყებრივი ჯილდოთი – „საუკეთესო მუზეუმელით“ დაჯილდოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 3 ივნისის №05/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უწყებრივი ჯილდოთი –„საუკეთესო მუზეუმელით“ დაჯილდოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 3 ივნისის №05/11 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 06/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 450090060.22.088.016037) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. ბრძანების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დამტკიცდეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უწყებრივი ჯილდოს – „საუკეთესო მუზეუმელის“ მედლის ნიმუში და სერტიფიკატის ფორმა, ამ ბრძანების №3 დანართის შესაბამისად.“.

2. ბრძანების მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის მინისტრი — **თეა წულუკიანი**